

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №49

ქ. თბილისი

14.11.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის მდივანი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელექტრონული ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

დიმიტრი ჯაფარაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფ PMCG - ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნინო შიოშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ანი ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

არჩილ გერსამია - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

გიორგი თურქია - პროგრამის ხელმძღვანელი

ანა გორგოძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ირინა გორგილაძე - მმართველობის სკოლის დეკანი

ნიკოლოზ აბუაშვილი - პროფესორი

სალომე ჟორჟოლიანი - კოორდინატორი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

ზაზა ჯაფარიძე-ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი

გიორგი მეშველიანი- ბაკალავრიატის ხელმძღვანელი

მარიამ დარბაიძე- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ

თამარ რემიშვილი- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილის მ/შ

სოფიო ფაჩულია-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ქეთევან ქუთათელაძე-მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ნოდარ პაპუკაშვილი - რექტორი

გიორგი ამილახვარი - ვიცე-რექტორი

ნათია ვაჭარაძე - ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი

მიხეილ თოქმაშაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

მერაბ ზედგენიძე - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

ელენე ჩიქოვანი - პროფესორი

ქეთევან მდინარაძე - ბიზნესის და ინჟინერიის სკოლის დეკანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

დავით სიხარულიძე

ნინო პატარაია

მერაბ ხოხობაია

ანა გვრიტიშვილი

გიორგი ლაღანიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის

მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი. წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. ა(ა)იპ - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 02
კვალიფიკაციის კოდის მითითებით		
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სურდა განცხადების გაკეთება საბჭოს სხდომის თავმჯდომარის აცილების საკითხთან დაკავშირებით, რადგან სააპელაციო საბჭოს სხდომაზე მწვავე დაპირისპირება მოხდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და ბატონ ირაკლი ბურდულას შორის, რომელიც გაცდა საქმიანობის სფეროს და სიმულვილის ენით საუბარსა და შეურაცხყოფის მიყენებაში გადაიხარდა. ასევე, აღნიშნეს, რომ მოგვიანებით ბოდიში მოუხადეს საბჭოს სხვა წევრებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. შესაბამისად მისი ამგვარი დამოკიდებულების გამო სურდათ მისი აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არანაირი სიმულვილის ენა არ ყოფილა გამოყენებული და ყველაფერი იყო ნორმის ფარგლებში. გადიხიანება გამოიწვია მისმა არგუმენტებმა კოლეგების მიმართ ეს სხვა საკითხი იყო და ასევე, ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც ფორმალურად მისცემდათ აცილების საკითხს არ იდგა და არც მისი მხრიდან მოხდებოდა ამის განხილვა. უნივერსიტეტს აცილების საკითხის დაყენების უფლება ჰქონდა, მაგრამ აღნიშნული არ ჯდებოდა ფორმალურ მოცემულობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ სხვა რამე მოსაზრებები თუ არადა გაგრძელდებოდა საბჭო ჩვეულ რეჟიმში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ჰქონდა აცილება, რადგან წარდგენილი პროგრამის ხელმძღვანელი თავად იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც გააცნო მათ მიერ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სპეციალობის სავალდებულო საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ოპერაციათა მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, რისკების მართვა.
- რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის გაუმჯობესება საბაკალავრო ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე.
- რეკომენდირებულია ინტერნაციონალიზაციის პროცესის გამძლიერება სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზებით.
- გაიზარდოს დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების ეტაპზე და ქმედითი გახდეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სწავლების მრჩეველთა საბჭო.

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და სთხოვა რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით ესაუბრათ.

დაწესებულების წარმომადგენელი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და სხდომას წარუდგინა დაწესებულების სხვა წარმომადგენლებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი თურქიამ, გააგრძელა საუბარი რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ის რეკომენდაცია სადაც საგანი რისკების მართვა, რომელიც ექსპერტების აზრით კურიკულუმში უნდა ყოფილიყო როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, მათთვის მიუღებელი იყო, ვინაიდან ბიზნესი საჭიროებს ინტერდისციპლინირებულ და კომპლექსურ სწავლებას და როდესაც საუბრობდნენ რისკების მართვის სწავლებაზე ის ისწავლებოდა სწავლის დაწყების დღიდან მის დასრულებამდე. რისკების მართვა ბიზნესში არ მოიცავს მხოლოდ ფინანსური რისკების ან მართო ადამიანური რესურსების მართვის რისკებს. ბიზნესში რისკები გხვდება ყველგან და ყოველთვის. მაგალითად, თუ ვინმე აპირებდა, რომ გაეკეთებინა ინვესტიცია ეს უკვე რისკი იყო, თანამშრომლის აყვანა ან გაშვება უკვე რისკი იყო, კონკრეტული ოპერაციების ჩატარებაც რისკი იყო და მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა აღნიშნულ საკითხზე. წარმოდგენილ პროგრამაში რისკები ისწავლებოდა სხვადასხვა კურსში. ოთხივე წლის განმავლობაში, რისკების მართვის საკითხების სწავლებას ჯამში 367 საათი ჰქონდა დათმობილი, რაზეც დაწვრილებით არის საუბარი მათ მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაშიც. ამიტომ, ვერ ხედავდნენ საჭიროებას რისკების საგანი ყოფილიყო დამატებული, რადგან ისინი არა საგანზე, არამედ შედეგზე იყვნენ ორიენტირებულნი.

რაც შეეხებოდა ადამიანური რესურსების მართვის სწავლებას, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ყველაზე მეტად ბაკალავრებს უჭირდათ მენეჯმენტის კურსის გააზრება, განსხვავებით მარკეტინგისაგან და ფინანსებისგან, იმიტომ რომ სტუდენტი ერთის მხრივ ორიენტირებული იყო შედეგზე და მეორე მხრივ გასათვალისწინებელი იყო მათი ცხოვრებისეული გამოცდილების არ

ქონა რომელიც ადამიანური რესურსების მართვისას ერთერთი გადამწყვეტია. სტუდენტებს სურდათ რაც შეიძლება სწრაფად დაენახათ შედეგი სწავლების პროცესში. პირობითად თუ სტუდენტმა გააკეთა ბრენდის დიზაინი, შეფუთა და გაყიდა რამე პროდუქტი, ხოლო ფინანსებში დავუშვათ ააწყო ფინანსური პროექტი, მენეჯმენტში კი როდესაც ესაუბრებოდნენ თუ როგორი ფილოსოფია და კულტურა უნდა ყოფილიყო ორგანიზაციაში სტუდენტისთვის ხშირად განცენებულ და არა პრაქტიკულ საკითხებად აღიქმებოდა. ამის გათვალისწინებით ცალკე საგნად ადამიანური რესურსების მართვის სტანდარტულად სწავლება მათი აზრით სასურველ შედეგს არ მოგვცემდა. მათ ამ საკითხების სწავლების სხვაგვარი სტრატეგია აირჩიეს, რაც შეიძლება პრაქტიკაზე და კეთებაზე ყოფილიყო ორიენტირებული სტუდენტი, და როგორც რისკების მართვის საკითხები ეს საკითხებიც გაშლილი იყო კურსკულუმში. მაგალითად პირველ სემესტრში იყო საგანი ბიზნესის საფუძვლები სადაც ცალკე საკითხები იყო დათმობილი ადამიანური რესურსების მართვაზე, ორგანიზაციულ კულტურაზე და ქეისიცი: არსებოს თუ არა შეუცვლელი კადრი, კადრები წყვეტენ თუ არა ყველაფერს, ერთ ორგანიზაციაში ცოლქმრის მუშაობა და ა.შ. მაგალითად ცოლ-ქმრის ურთიერთობა სამსახურში რა პრობლემებს და რისკებს ქმნიდა, მენეჯერისთვის ხელსაყრელი იყო ცოლ-ქმარს ემუშავა სამსახურში თუ არა და ა.შ. მათი მიზანი იყო, რომ აზროვნება ესწავლებინათ სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ბიზნეს ლაბორატორიის იდეის სულისჩამდგმელი ნიკოლოზ აბუაშვილი სხდომას ესწრებოდა, მათ ქონდათ პრაქტიკა, სიმულაცია სწავლების პროცესში თუ როგორ უნდა აეყვანა უფროსკურსელს უმცროსკურსელი. უფროსკურსელს უნდა შეემუშავებინა პროექტი და წარედგინა პირველკურსელებთან. პირველკურსელებს უნდა გაეგზავნათ cv-ები და მაღალკურსელებს უნდა მოეხდინათ მათი არჩევა, ასევე აფასებდნენ პროცესებს. უნივერსიტეტის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ადამიანური მართვის საკითხები კარგად იყო წარმოდგენილი მათ კურსკულუმში.

რაც შეეხებოდა ოპერაციათა მენეჯმენტის საგანს, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ეს საგანი იყო უფრო სამაგისტრო დონის და მასთან დაკავშირებული საკითხები ჰქონდათ ოპერაციათა კვლევაში, რაც ბაკალავრიატისთვის მათი აზრით სრულიად საკმარისი იყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ნიკოლოზ აბუაშვილმა განაცხადა, რომ ოპერაციათა მართვა არ იყო თავისი მასშტაბით ბაკალავრიატისთვის შესაფერისი დონის საგანი, მაგალითად ისწავლებოდა თავისუფალ უნივერსიტეტში სამაგისტრო დონეზე ცალკე პროგრამად და იმ პროგრამის ავტორი თავად იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი თურქიამ, ისაუბრა შემდეგ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის გაუმჯობესება საბაკალავრო ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე და აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში დაუწერეს, რომ სილაბუსი ბოლომდე ვერ სცემდა პასუხებს სტუდენტებს თუ რა უნდა გაეკეთებინათ. მისი აზრით, ექსპერტებმა პრობლემა დაინახეს იმაში, რომ მათთან სტუდენტები საბაკალავრო ნაშრომად წერდნენ „ბიზნეს გეგმას“ ან „ბიზნესის ანალიზსა და აღწერას“. ის სტრუქტურა კი, რომელიც უნივერსიტეტმა შესთავაზა სტუდენტებს მორგებული იყო მხოლოდ ბიზნეს გეგმისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით გიორგი თურქიამ განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში მოცემული სტრუქტურა იყო სარეკომენდაციო ხასიათის და შეესაბამებოდა, როგორც ბიზნესის გეგმას ასევე ბიზნესის აღწერისა და ბიზნესის ანალიზის თემასაც. საბოლოო ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი განიხილვებოდა ინდივიდუალურად. ამიტომ აღნიშნული

სტრუქტურა მისაღები იყო როგორც პროექტისთვის ბიზნეს გეგმა, ისე საბაკალავრო ნაშრომისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად სიტყვა „სტრუქტურას“ ჩაანაცვლებდნენ – „მინაარსით“. დამატებით, ისიც აღნიშნა, რომ ერთმა სტუდენტმა აირჩია ბიზნესის აღწერა და ანალიზი, მაგრამ სამწუხაროდ ვერ დაიცვა, რადგან ძალიან რთული იყო და უფრო მეტად უადვილდებათ ბიზნეს გეგმის დაწერა.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა იკითხა, თუ ქონდათ რაიმე აქტიურობა სადიპლომო ნაშრომთან ერთად და რამდენ ხანს გრძელდებოდა მუშაობა სადიპლომო ნაშრომზე, რაზეც გიორგი თურქიამ უპასუხა, რომ ცალკე პრაქტიკა ჰქონდათ რომელიმე ორგანიზაციაში სტუდენტებს და შემდეგ ხდებოდა პრაქტიკის დაცვა და შეფასება, ცალკე იყო სადიპლომოს დაცვა და ცალკე პრაქტიკის. დიპლომზე 4 თვე მუშაობენ და 10 კრედიტს ანიჭებდნენ და პრაქტიკას 10 კრედიტს.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა იკითხა, რა პრობლემა იყო იმ სტუდენტზე რომელმაც ვერ დაიცვა ის ბიზნესის აღწერა და ანალიზი, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ზოგადად სტუდენტებს უჭირდათ იმ გლობალური პროცესების აღწერა და ანალიზი. ასევე ის კონკრეტული სტუდენტის პრობლემაც იყო. უნივერსიტეტიც ურჩევთ, რომ სტუდენტებმა ბიზნეს გეგმები დაწერონ და შემოქმედებითი პროცესი იყოს უფრო მეტად, ვიდრე აღწეროს არსებული ფაქტები.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დავით სიხარულიძემ განმარტა, რომ ბიზნეს გეგმის დაწერა ისე ადვილი არ იყო და მითუმეტეს სტუდენტისთვის. გლობალური მიზნის დასახვის მაგივრად ჯობდა დაესახათ ლოკალური მიზანი. აღნიშნული რეკომენდაცია იმიტომ დაწერეს რომ საბაკალავრო ნაშრომსაც ჩახედეს, ექსპერტები თვლიდნენ, რომ ინსტრუქცია როგორც ერთ შემთხვევაში ბიზნეს გეგმაზე ისე მეორეში ბიზნესის აღწერა და ანალიზი საჭირო იყო, ლოგიკური თანმიმდევრობისთვის სულ მინიმუმ მაინც.

არნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ნიკოლოზ აბუაშვილმა უპასუხა, რომ 4 წელი რომ ისწავლის ადამიანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ის მოახერხებდა აუცილებლად ბიზნეს გეგმის დაწერას.

შემდეგი რეკომენდაცია შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხებს, რაზეც გიორგი თურქიამ განმარტა, რომ მათ სკოლაში საკმაოდ მაღალი აქტიურობა იყო ინტერნაციონალიზაციის კუთხით, პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ წინა წლებში არ ჰქონდათ ერასმუსის მიერ შეთავაზებული პროგრამები რომლებიც სრულად დაუფინანსებდათ სტუდენტებს სწავლების ხარჯებს. აღნიშნული პეროდისთვის კი 8 სტუდენტი იმყოფებოდა საზღვარგარეთ სასწავლებლად ნაწილობრივი დაფინანსებით. ერასმუსის პროგრამაში უკვე ჩაერთვნენ, ასევე პირადი კონტაქტები ჰქონდათ და მემორანდუმები გაფორმებული.

რაც შეეხებოდა მეოთხე რეკომენდაციას გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ის შეეხებოდა დამატებლების ჩართულობას და მრჩეველთა საბჭოს ქმედუნარიანობას, ასევე განმარტა, რომ მრჩეველთა საბჭოში შესული ადამიანები იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონენი და ისინი პერიოდულად იკრიბებოდნენ, რაც შეეხებოდა ოქმებს, წესდება არ ავალდებულებდათ, რომ ეწარმოებინათ ოქმები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დავით სიხარულიძემ აღნიშნა, მიესალმებოდნენ მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებას მაგრამ, არ ჩანდა კონკრეტული ნაბიჯები, საჭირო იყო უფრო ფორმალიზება და ქმედითუნარიანობის გაზრდა.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ აღნიშნა რომ აღნიშნული საკითხი არ იყო სარეკომენდაციო ხასიათის.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ ორი ნაწილისგან შედგებოდა რეკომენდაცია როგორც მან გაიგო, ერთი შეეხებოდა დამსაქმებლის ჩართვას და მეორე შეეხებოდა მრჩეველთა საბჭოს, რომელიც ხელს შუწყობდა სწავლების პროცეს და კიდევ დამსაქმებლების ჩართულობას, რაზეც დაეთანხმა უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნინო პატარაიამ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია იყო დაწერილი არა მხოლოდ დოკუმენტების განხილვის საფუძველზე, არამედ გასაუბრების შედეგადაც.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ნიკოლოზ აბუაშვილმა აღნიშნა, რომ დაეთანხმნენ მეტად გააქტიურებას მრჩეველთა საბჭოსი, მაგრამ ვერ დაეთანხმებოდნენ ფორმალიზაციის ნაწილში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ანა გორგოძემ აღნიშნა რომ დამსაქმებლის ჩართულობასთან დაკავშირებით, ინტერვიუს პროცესში ჩართული იყო 6 ადამიანი და ისინი იყვნენ, როგორც დამსაქმებლები ისე უნივერსიტეტში მომუშავე პერსონალი. სულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდა 6-დან 10 კაცამდე და ვიზიტის პერიოდში, სამწუხაროდ, ვერ მოახერხეს ექსპერტები შეხვედროდნენ ბევრ დამსაქმებელს.

არნიშნულთან დაკავშირებით გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ისინი გააუმჯობესებდნენ მომავალში როგორც ინტერნაციონალიზაციის საკითხებს, ისე დამსაქმებლების ჩართულობას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფორმა ფორმისთვის არ არსებობდა და მის უკან იდგა შინაარსი, მაგალითისთვის მოიყვანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც შექმნეს დამსაქმებელთა კომიტეტი ნორმატიული ძალით და აქციეს სტრუქტურულ ერთეულად.

საბჭოს სხდომაზე 15:02 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განაზღვდა 15:22 საათზე.

საბჭოს მოსაზრებით, სდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მეორე და მესამე სტანდარტები, რომლებიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს. ასევე, საბჭომ აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურებოდა 2018 წლის 10 დეკემბერს, საბჭო აკრედიტაციის დებულების 27^ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიუთითებდა 2018 წლის 10 დეკემბერს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ- საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ-საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 10 დეკემბერიდან.

2. სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	მენეჯმენტი
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია	მენეჯმენტის ბაკალავრი, 0203
კვალიფიკაციის კოდის მითითებით		
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		250

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე სკაიპით ჩაერთო სხდომის პროცესში და საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ საბაკალავრო პროგრამაზე შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის ერთ-ერთი შედეგი, კურსდამთავრებულს ექნება: „ჰუმანიტარული, ტექნიკური, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ფართო ცოდნა“, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, კურსდამთავრებულს ექნება: „ჰუმანიტარული, ტექნიკური, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ძირითადი პრინციპების ცოდნა“;
- რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წინაპირობად განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტების სრულად ათვისება;
- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს დროის მენეჯმენტისა, კრიზისების მართვისა და რისკების მენეჯმენტის დამოუკიდებელი სასწავლო კურსები;
- რეკომენდებულია მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურად, გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის პრინციპებთან“ ერთად გამოყენებული იქნეს მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პროფილური სახელმძღვანელოები, მაგალითად, ნიკოლსონისა და სნაიდერის მიკროეკონომიკა და ოლივიე ბლანშარის მაკროეკონომიკა, რომლებიც ქართულ ენაზე არის ხელმისაწვდომი;

- რეკომენდებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებული იქნეს პრაქტიკული კომპონენტი პროფესიული პრაქტიკის ან სტაჟირების სახით, რომელსაც სტუდენტები გაივლიან სხვადასხვა ტიპისა და სახის სამოქალაქო სექტორის სტრუქტურებში (ორგანიზაციებში)

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და სთხოვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით ესაუბრათ.

დაწესებულების წარმომადგენელი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და სხდომას წარუდგინა დაწესებულების სხვა წარმომადგენლებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ქუთათელაძემ განაცხადა, რომ პირველ რეკომენდაციას იზიარებდნენ სრულიად რადგან ტექნიკური ხასიათის იყო, რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომი გათვალისწინებული იყო მერვე სემესტრში და მინიჭებული ჰქონდა 8 კრედიტი. იმ ნაწილშიც დაეთანხმნენ რეკომენდაციას და სასწავლო კურსები გადანაწილდებოდა შემდეგნაირად: მე-8 სემესტრში არსებული კურსები გადანაწილდებოდა მე-7 სემესტრში (ძირითადად, სამოქალაქო საგნები). მე-8 სემესტრს კი დაამატებდნენ სასწავლო პრაქტიკას და კრედიტები ასევე, შეივსებოდა სამხედრო კომპონენტით.

რაც შეეხებოდა მესამე რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიის მუდმივი საზრუნავი იყო პროგრამის გამრავალფეროვნება, თუმცა ექსპერტების მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების საკითხები კი მათ სხვადასხვა კურსებში ჰქონდათ ჩაშლილი. მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამა თავდაპირველად მოიცავდა 240 კრედიტს, ახლა კი გაზარდეს 250-მდე. გარდა ამისა, აღნიშნეს, რომ 1 წლის წინ პროგრამის შეფასება მოხდა DEEP-ის მიერ და აღნიშნულის საფუძველზე განახორციელეს გარკვეული ცვლილებები. სამომავლოდ კიდევ იმსჯელებდნენ სასწავლო კურსებში იმ საკითხების დამატებაზე, რომელთა სიმწირეც იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოები, რომლებიც სასწავლო კურსის ფარგლებში და სილაბუსში გათვალისწინებული ჰქონდათ დამხმარე ლიტერატურაში, გაითვალისწინებდნენ და გადაიტანდნენ ძირითადში.

რაც შეეხებოდა მე-5 რეკომენდაციას რომელიც პრაქტიკულ კომპონენტს შეეხებოდა დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი თვითშეფასების სუსტ მხარეშიც ეწერათ და ფიქრობდნენ ამ კუთხით უფრო მეტ მუშაობას. თავდაცვის აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე რთული იყო გასვლითი პრაქტიკები და სტაჟირების ჩატარების საშუალება. თუმცა აკადემიაში ხორციელდებოდა აქტივობები „ლიდერობის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, სადაც ზედა კურსის იუნკერები ხელმძღვანელობენ პირველი და მეორე კურსის იუნკერებს. ახორციელებდნენ მათი საქმიანობის მართვას. რაც იყო იმ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება რაც მათ მიიღეს. ასევე მათ მემორანდუმი გააფორმეს „ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველოსთან“ რომლის ფარგლებშიც იუნკერები და არა მარტო ისინი, არამედ პროფესორებიც ჩაერთვებოდნენ კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში. კიდევ აპირებდნენ მემორანდუმის გაფორმებას PMCG ჯგუფთან უფრო ფართო თანამშრომლობითვის.

ასევე, პროგრამის განვითარების სტრატეგიაში გაწერეს „იუნკერთა სასწავლო, სამეცნიერო და კვლევითი ლაბორატორიის შექმნა, რომლის შესახებ დებულებაც შეიმუშავეს.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, რაიმე სახის საცხოვრებელი თუ ჰქონდა აკადემიას, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მარიამ დარბაიძემ უპასუხა, რომ კამპუსი ჰქონდათ, ყველაფრით მოწყობილი, სადაც ცხოვრობდნენ იუნკერები, მათ სწავლას სრულიად უფინანსებდა თავდაცვის სამინისტრო და უზრუნველყოფილი იყვნენ ყველაფრით. ასევე, მაღალი იყო მაჩვენებელი მათი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და არა მარტო მათი, არამედ პროფესორებისაც. მათთან გაძლიერებულად ისწავლებოდა უცხო ენაც.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ იკითხა, მიღების რა მაჩვენებელი ჰქონდათ, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მარიამ დარბაიძემ უპასუხა, რომ ისინი იყვნენ ხარისხზე ორიენტირებულები და არა რაოდენობაზე. იმ წლისთვისთვის მაჩვენებელი 140 იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს სასწავლებელი იყო საქართველოში უნიკალური სახის რადგან 4 წლის დამთავრების შემდეგ ერთდროულად იღებდნენ როგორც, ბაკალავრის ხარისხს, ასევე ოფიცრის სამხედრო წოდებას.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, თუ რატომ ჰქონდა აკადემიას მოთხოვნილი 250 კრედიტი, როდესაც კანონმდებლობით 240 კრედიტი იყო საკმარისი ბაკალავრის ხარისხის მისანიჭებლად, და სტუდენტი თუ დააგროვებდა 240 კრედიტს შეეძლო თუ არა ბაკალავრის დიპლომის აღება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვერ შეძლებდა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიღებას და ვერ დაასრულებდა, რადგან მართალია 10 კრედიტი იყო თავისუფალი საგნებისთვის, მაგრამ ამ საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდა თავისი მიზანი, რომლის ფარგლებშიც უნდა აეღო 250 კრედიტივე და თუ რომელიმე საგანი დარჩებოდა, იუნკერს უწყდებოდა სტუდენტის სტატუსი. რადგან აკადემია სპეციფიკური ხასიათის იყო მას თავისი სტანდარტი ჰქონდა, ამიტომ იყო 250 კრედიტი.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, მათი კურსდამთავრებულები თუ სამაგისტრო საფეხურზე აბარებდნენ, იმ კონტრაქტში შედიოდა თუ არა, რომელსაც თავდაპირველად უდებდნენ იუნკერებს და იმის ალბათობა, რომ რომელიმე იუნკერი სწავლის დამთავრების შემდეგ ვერ დასაქმდებოდა თუ არსებობდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არც ჩაუბარებით ჯერ მათ კურსდამთავრებულებს. რაც შეეხებოდა დასაქმებას აღნიშნეს, რომ მათთან იყო 100% პროცენტიანი დასაქმების გარანტია და გამორიცხული იყო მსგავსი შემთხვევა.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა იკითხა თუ იყვნენ ჩართულნი სწავლების პროცესში სამხედრო წარმომადგენლები, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროფესურა შერჩეული იყო კონკურსის წესით და ასევე ჩართულნი იყვნენ სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც ოფიცრები იყვნენ.

საბჭოს სხდომაზე 15:53 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 16:04 საათზე.

საბჭოს მოსაზრებით, სდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მეორე სტანდარტი, რომლებიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, 02
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ საბაკალავრო პროგრამაზე შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი და უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტების ჩართულობას გაცვლით პროგრამებში და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში.
- რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის კუთხით.
- რეკომენდებულია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება სასწავლო კურსებში, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ინტენსიურად ჩატარება; სტუდენტების აქტიური ჩართვა კონფერენციებსა და პროექტებში.
- რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გაძლიერდეს სწავლების პრაქტიკული კომპონენტები, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარების მეტად განვითარებას.
- უნივერსიტეტის მიერ გატარებული უნდა იქნეს ღონისძიებები, მათ შორის გამოიყოს დაფინანსება, რათა გაიზარდოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. ეს ხელს შეუწყობს მათი კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლების, პროფესიული და სწავლების უნარების განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და სთხოვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით ესაუბრა.

დაწესებულების წარმომადგენელი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და სხდომას წარუდგინა დაწესებულების სხვა წარმომადგენლებიც.

დაწესებულების წარმომადგენელი, ქეთევან მდინარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს პარტნიორული ურთიერთობები ჰქონდა რიგ უნივერსიტეტებთან ჩინეთში, აზერბაიჯანში, პოლონეთში, ამერიკაში და სხვა. პარტნიორული ურთიერთობის ფარგლებში გეგმავდნენ და ახორციელებდნენ კვლევებს, კონფერენციებს, სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროექტებსა და კონფერენციებში ჩართვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ევრაზიის უნივერსიტეტიდან მიმდინარეობდა საერთაშორისო კვლევა, მათი უნივერსიტეტიდან ერთ-ერთი პროფესორი ხელმძღვანელობდა პროექტს. დასრულებული იყო პირველი ეტაპი. შემდეგი ეტაპი კი იქნებოდა საერთაშორისო კონფერენცია თურქეთში.

რაც შეეხებოდა საერთაშორისო კონფერენციებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულები მათი აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, მაგალითისთვის მოიყვანა მათივე უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მონაწილეობა მიიღო 10 ქვეყნის წარმომადგენლებმა. კონფერენცია მიმდინარეობდა 2 დღის განმავლობაში და მონაწილეობა მიიღეს, როგორც აკადემიურმა პერსონალმა, ისე სტუდენტებმა. ასევე, აღნიშნა, რომ თავად იმყოფებოდა თურქეთში და აზერბაიჯანში კონფერენციებზე, ერთ თვეში მიდიოდა იტალიაშიც. უნივერსიტეტი უფინანსებდა ყველაფერს. მისი კოლეგა იყო ბარსელონაში, რომელიც დაფინანსებული იყო მათი უნივერსიტეტის მიერ. გარდა ამისა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა გრანტი მოღებული ერასმუს პლიუსის, რომელიც სწორედ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამისთვის იყო და ითვალისწინებდა, როგორც პერსონალის ისე სტუდენტების გაცვლას, რომელიც მომავალში უნდა განხორციელებულიყო. ასევე აღნიშნეს, რომ აკადემიური პერსონალი ჰყავდათ მოწვეული საზღვარგარეთიდან კონკურსის წესით აყვანილები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებული იყო ინტერნაციონალიზაციის საკითხიც, რაც თავად ექსპერტებმაც აღნიშნეს. მუდმივად მუშაობდნენ მის განვითარებაზე. ასევე, აღნიშნეს, რომ იღებდნენ რეკომენდაციას იმ ნაწილში და გაგრძელებდნენ მუშაობას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ნათია ვაჭარაძემ დაამატა, რომ გაცვლითი პროგრამებით ბოლო 2 წლის განმავლობაში 50 სტუდენტი სწავლობდა საზღვარგარეთ. ჩინეთში დაახლოებით 9 სტუდენტი, ევრაზიის უნივერსიტეტში 6 სტუდენტი და აქედან 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საფეხურიდან.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა იკითხა ჩინეთთან რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ თუ რაში იყო საქმე, რაზეც უნივერსიტეტის

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათთან ფუნქციონირებდა კონფუცის კლასი, რომელიც უადვილებდა ჩინეთში კონტაქტს ნებისმიერი პროგრამული მიმართულებით.

რაც შეეხებოდა შემდეგ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის გაძლიერებას აღნიშნეს, რომ ამასთან დაკავშირებით მტკიცებულებებიც ჰქონდათ წარმოდგენილი რა ინტესიურობით მიმდინარეობდა შეხვედრები და აღნიშნული საკითხი მათი ინტერესის სფეროც იყო. მათი მიზანი იყო სწორი აქცენტები დაესვათ და ამისათვის მათ პროგრამის განვითარებისთვის ჩართეს პარტნიორი დაწესებულებები, კერძოდ: შემოსავლების სამსახური, სურსათის უვნებლობის სააგენტო, ინფრასტრუქტურის სამინისტრო და კიდევ ბევრი. მათგან მუდმივად იღებდნენ უკუკავშირს თუ როგორი ცოდნისა და უნარების სტუდენტები ესაჭიროებოდათ.

ასევე, აღნიშნეს, რომ მათი პროგრამის კურსდამთავრებულები მუშაობდნენ წამყვან პოზიციებზე. შემოსავლების სამსახურის სტატისტიკის მიხედვით ბოლო წლების განმავლობაში მათი 21 სტუდენტი იყო დასაქმებული აღნიშნულ ორგანიზაციაში.

საბჭოს წევრმა, ოლია ვოტმა იკითხა, ბიზნესის მიმართულებით რამდენი იყო დასაქმებული თუ ჰქონდათ სტატისტიკური მონაცემები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მაგალითისთვის მოიყვანა საქართველოს ბანკი, რომელიც ყოველწლიურად იღებდა ვალდებულებას წაეყვანა 50 სტუდენტი პრაქტიკაზე და იქედან დაესაქმებინა წარმატებული სტუდენტები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გიორგი თურქიამ განმარტა, რომ წარმოდგენილი იყო მისთვის ბიზნესის მიმართულებით მსგავსი ვალდებულება აელო ვინმეს, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იქ მხოლოდ სტაჟირება/პრაქტიკაზე იყო საუბარი და არა დასაქმებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტი რომ ყოფილიყო ბათილი იქნებოდა შეთანხმება.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას სასწავლო კურსებში, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ინტენსიურად ჩატარებას, სტუდენტების აქტიური ჩართვას კონფერენციებსა და პროექტებში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები ისე გარედან მოსული ადამიანები კითხულობდნენ საჯარო ლექციებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გიორგი ლაღანიძემ განაცხადა, რომ ისინი გულისხმობდნენ ბიზნესის სექტორის წარმომადგენლების მხრიდან ჩართულობას საჯარო ლექციებში, რისი ნაკლებობაც იყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ნათია ვაჭარაძემ განაცხადა, რომ მათთან ჩატარდა ბევრი საჯარო ლექცია ბიზნესის, საბანკო და საფინანსო საკითხებზე. იმართებოდა შეხვედრები ბიზნესის წრეებთან, იგივე ნიკორას წარმომადგენლებთან და სხვა. სტუდენტებისთვის პროექტები და პრეზენტაციები იყო ჩადებული კურიკულუმში. ასევე შეხვედრები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა დაფინანსების საკითხებს, რათა გაზრდილიყო აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა

და კონფერენციებში. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრესი ძალიან მაღალი იყო წინა წლებთან შედარებით და ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჰქონდათ 5 პროცენტი.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა 5% რამდენი იყო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 200 000 ლარი წელიწადში იყო გამოყოფილი ამ მიმართულებით.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა რომ თუ არ იყო კითხვები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, გადასულიყვნენ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის საკითხის განხილვაზე, რაზეც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები და დამსწრე საზოგადოება.

4. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, 02
კვალიფიკაციის კოდის მითითებით		
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		120

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სამაგისტრო პროგრამაზე შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი და სასწავლო უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სტუდენტების ჩართულობას გაცვლით პროგრამებში და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში.

- რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის გაძლიერების კუთხით.
- რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურის მცირე მოდიფიცირება. კერძოდ შემდეგი სასწავლო კურსების „საქართველოს ეკონომიკური პრობლემები“, „ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპაში“, გადატანილ იქნას არჩევით ბლოკში, ხოლო მათ ნაცვლად დაინერგოს ბიზნესის ადმინისტრირების დისციპლინები.
- რეკომენდირებულია მენეჯმენტის მოდულის მცირე მოდიფიცირება, კერძოდ მარკეტინგ მენეჯმენტი, გადავიდეს სპეციალობის სავალდებულო დისციპლინებში.
- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციის მოდიფიცირება.
- რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება სასწავლო კურსებში, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ინტენსიურად ჩატარება.
- რეკომენდირებულია სტუდენტების აქტიური ჩართვა კონფერენციებსა და პროექტებში.
- რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გაძლიერდეს სწავლების პრაქტიკული კომპონენტები, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარების მეტად განვითარებას.
- რეკომენდირებულია გაუსის განაწილებით მიღებული შედეგების სისტემატიური ანალიზი და რეაგირების ქმედითი მექანიზმების დასახვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და სთხოვა აღარ ესაუბრათ იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც მეორდებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მთელი რიგი კვლევები ჩაატარეს 2014 წელს და დასახეს ამოცანები. მათი მიზანი იყო მოემზადებინათ ისეთი სპეციალისტები რომლებიც გადაჭრიდნენ არსებულ პრობლემებს. მეწარმეების მხრიდანაც იყო მოთხოვნა, რომ სჭირდებოდათ ისეთი სპეციალისტები, რომელნიც გამოადგებოდა ევროკავშირის ბაზარს. ამუშავდებოდა ახალი კომისია, რომელიც ახალ ტარიფებს დაუდგენდა საქართველოს. აღნიშნული მიზეზის გამო თვლიდნენ, რომ უნდა სცოდნოდათ სტუდენტებს ევროკავშირის გარემო. ასევე, საქართველოს ეკონომიკა, რომელიც ცვალებადი იყო. ყველა რისკი უნდა გაეთვალისწინებინათ. შესაბამისად, დაამატეს ორი საგანი აღნიშნულ საკითებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო ღირებულებათა ჯაჭვს განავითარებდა, რომელიც კომპლექსური საგნების შესწავლით მიიღწეოდა. საგნები კი აგებული იყო ხვალისდელი დღის გათვალისწინებით და სამომავლო მიზნების მისაღწევად.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით რა განცხადებას გააკეთებდა დაწესებულების მხარე, რაზეც უპასუხა ნათია ვაჭარაძემ, რომ მათთაც აინტერესებდათ კონკრეტული რეკომენდაცია რას გულისხმობდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სათაურები იყო გაუგებარი. მაგალითისთვის „აქციზი“ ერქვა ერთ-ერთ ნაშრომს და არ შეიძლებოდა ისეთი სათაურის ნაშრომი, ექსპერტები არ ამბობდნენ რომ არ ვარგოდა სამაგისტრო

ნაშრომები, ისინი გულისხმობდნენ გაუმჯობესებას და იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას რაც უნდა გაეთვალისწინებინა მაგისტრს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა შემდეგ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სასაწავლო კურსებს: „საქართველოს ეკონომიკური პრობლემები“ და „ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპაში“ ექსპერტების აზრით არჩევით ბლოკში უნდა გადაეტანათ და მათ ნაცვლად ჩაესვათ ბიზნესის ადმინისტრირების დისციპლინები. რაზეც არ დაეთანხმნენ ექსპერტებს, რადგან აღნიშნული საგნების სწავლება გამომდინარეობდა საქართველოში არსებული გამოწვევებიდან.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტებს და სადიპლომო ნაშრომის სახელწოდება აქციზი ვერ იქნებოდა. ასევე გაუგებარი იყო მისთვის ბიზნესის მიმართულების სტუდენტმა რატომ აირჩია ესეთი დასახელების თემა. ასევე, აღნიშნა, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელი საუბრობდა ძირითადად მიმართულნი იყვნენ სტრატეგიულ განვითარებაზე და ღირებულებათა ჯაჭვის შექმნაზე, ამიტომ აქცენტი უნდა გაეკეთებინათ არა მარტო ევროკავშირზე არამედ სხვა გლობალურ მიმართულებებზეც, მაგალითად ჩინეთზე, რადგან ჩინეთთან კარგ კონტაქტებზე თავადვე ისაუბრეს. რაც შეეხებოდა მარკეტინგის მენეჯმენტს, ეთანხმებოდა ექსპერტების დასკვნას. პროგრამა დაყოფილი ჰქონდათ სამ მოდულად: მენეჯმენტი, საბანკო და საგადასახადო. მისი აზრით, ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაცია თავის თავში გულისხმობს გარკვეულ საბაზისო ცოდნას, რა მოდულიც არ უნდა აირჩიოს სტუდენტმა ის საბაზისო ცოდნაზე აუცილებლად უნდა გადიოდეს. ამ პრინციპის გათვალისწინებით დანაკლისი იყო მენეჯმენტის საგნებთან დაკავშირებით პროგრამაში. ფინანსების ნაწილშიც მოიკოჭლებდა პროგრამა. დამატებით აღნიშნა, რომ ბაკალავრიატში უფრო ნაკლები მოთხოვნები იყო და მაგისტრატურაში ბუნებრივი იყო მეტი მოეთხოვებოდათ, ამიტომ იმ ნაწილში ექსპერტების ლოგიკას ეთანხმებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, თუ რატომ თვლიდნენ სუსტად მენეჯმენტის ან ფინანსების ნაწილს გაუგებარი იყო. აღნიშნა, რომ ფინანსების ნაწილი წარმოდგენილი იყო სამი ასპექტით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო და იძლეოდა საკმაოდ ფართო ცოდნას.

რაც შეეხებოდა მარკეტინგის მენეჯმენტის საგანს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგადად მენეჯმენტის სფეროში ყველა საგანი ინტეგრირებული იყო ყველა სფეროსთან და მარკეტინგ მენეჯმენტი არ იყო ცალსახად მარკეტინგის საგანი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ნუ იღავენ იმაზე რაც ზოგადად ნათელი იყო. მარკეტინგ მენეჯმენტი მარკეტინგული საგანი იყო, რის დასტურადაც 2014 წლის კოტლერის წიგნი მოიყვანა, აქვე განმარტა, რომ მათი რეკომენდაცია იყო, აღნიშნული საგანი არა მხოლოდ მენეჯმენტის, არამედ ყველა მოდულში ესწავლებინათ.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, თუ როგორი მიღების წინაპირობები ჰქონდათ და პროგრამაზე ბიზნესის ადმინისტრირების არასაბაკალავრო გამოცდილების მქონენი თუ ხვდებოდნენ პროგრამაზე, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე, შემდეგ უკვე ტარდებოდა გამოცდა სპეციალობაში. ხოლო მსგავსი ფაქტი არ ჰქონიათ, რომ სხვა სპეციალობის მქონე მისულიყო.

საბჭოს წევრმა ოლია ვოტმა იკითხა, სტუდენტი, რომელიც აირჩევა მენეჯმენტის მოდულს მას შეეძლო თუ არა, გაეწეო საგნები ფინანსებიდან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული არ იყო შესაძლებელი..

დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია ვაჭარაძემ განაცხადა, რომ სტანდარტის 2.4 კომპონენტში ნაწილობრივ შეფასებას არ ეთანხმებოდნენ, რადგან საჯარო ლექციების ჩატარება და სტუდენტთა კონფერენციებში მონაწილეობა იყო კურიკულუმის გარეშე აქტივობები.

საბჭოს სხდომაზე 17:05 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:10 საათზე.

საბჭოს მოსაზრებით, სდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პირველი, მეორე და მესამე სტანდარტები, რომლებიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში კი, საბჭოს მოსაზრებით, სდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, მეორე სტანდარტი, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან, მეტწილად შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 1 წლის ვადაში განხორციელებულიყო პროგრამის მონიტორინგი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელებით იმ მიზნით, რომ გადამოწმებულიყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება დაწესებულების მხრიდან.

საბჭოს რეკომენდაციები:

1. ყველა მოდულის სტუდენტი უნდა გადიოდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაზისო ცოდნაზე
2. სამაგისტრო ნაშრომების თემების და დასახელების ადეკვატური შერჩევა
3. პროგრამაში არ ისწავლებოდეს მხოლოდ ევროკავშირის პრობლემატიკა და სხვა გლობალურ ბაზრებზეც აკეთებდეს აქცენტს

17:17 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

მდივანი

ლევან გორდეზიანი